შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი

№ 22.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 10 ივნისი 1912 წელი

ყოველ-კვირეული გაზეთი

„შინაური საქმეები“

სასოფლო № 17). და თბილისში გასმენდენელ სიმსის ბაზარში, სიმონიანცის შუბის მაღაზიაში. გამოდა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბუთოსა — კაზაკოვის შენ-ბინა).

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	ნახ. წლიან:	სამი თვეთ:	ერთი თვეთ:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შეტანა წლიურ ბელის მოსწერთათვის შეიძლება ასე განწილდეს: თვიდგან 2 მ. და 1 ივნისს 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტით სტრიქონი ორი შაური, ფასანსკენელზე 7 ა.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1. სიტყვა ყოვლადსამღვდელო ეპ. გიორგისა; 2. მადლობელი ვართ—„შინ. საქ.“ რედაქციისა; 3. ი. გოგებაშვილის ხსოვნას (ლექსი) რ. საჯავახოელისა; 4. ი. გოგებაშვილის ანდერძი; 5. მოვალენი ვართ თუ არა ეკლესიაში ვიარ**ოთ**?—ხელისა; 6. საკითხი სულის უკვდავებაზე—ფ—პე სი-ძესი; 7. კვირიდამ-კვირამდე; 8. კრიტიკა—ხომლელისა; 9. საქართველოს ექსარხოსის მოგზაურობა—ღოროსხეველისა და ქართველი ოსებში ნამყოფისა; 10. ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად—№-სა.

სიტყვა

ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისა, თქმული იაკობ სიმონისძის გოგებაშვილის სულის მოსახსენებელ ჰანაშვიდსე 3 ივნისს ქუთაისის საკათედრო სობორაში.

გაზეთებმა მოგვიტანეს, პატივცემულნო მსმენელნო, გულის დამთუთქველი ამბავი: გუშინწინ საღამოზე, მძიმე ავათმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჩვენი სამშობლოს სასიქადულო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, იაკობ სვიმონისძე გოგებაშვილი. ამ ბოლო წლებში, თითქო განგებ აჩქარებით მიეშურებიან ჩვენგან წინაპართა წინაშე წარსადგომათ უკეთესი მა-

მულიშვილნი, მიდიან თითქო საჩივლელად, რომ ჩვენში პატიოსანს, ქვეყნისთვის თავდადებულ მოღვაწეს აღარ ეცხოვრება. მართლადაც, ახლად გარდაცვალებულ იაკობს ბევრი რამ აქვს საჩივლელი, როგორც თავის გაუტანელ მოძმეებზე, ისე გარეშეებზე...

ტფილისის სემინარიის შესრულების შემდეგ, იაკობი, როგორც უნიჭიერესი მოწაფე, გაგზავნეს აკადემიაში, სადაც კარგი სწავლისთვის იქაურმა მკაცრმა ბუნებამ დააჯილდოვა ჭლექით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი შეევიდა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლათ. სამსახურის პირველი ნაბიჯიდგანვე მის სხეულის ავათმყოფობას ზედ ერთობა სულიერი ტანჯვა. რა აუტანელ გენიაში იგი ჩააგდეს მისმავე ქართველმა თანამოსამსახურეებმა, ეს თვითონ მასვე აქვს აწერილი ჟურნალ „განათლების“ ერთ-ერთ შარშანდელ ნომერში. ამიტომ ყველასფერს აქ არ გავიმეორებ. მხოლოდ ვიტყვი, რომ მტრებმა იგი სასოწარკვეთილებამდინ მიიყვანეს და თავი მოაწამლინეს, მაგრამ განგებამ იგი უვნებლათ შეუნახა ბედკრულ სამშობლოს.

ბევრს თქვენგანს კარგათ მოეხსენება, როგორი აღფრთოვანების დრო იყო მთელ რუსეთში წარსული საუკუნის სამოციანი წლები. იმ დროის ტფილისის ინტელიგენცია არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის დიდი ქალაქების ინტელიგენციას. მგონია არ შევცთები, თუ ვიტყვი, რომ პირველი ადგილი ეჭირა ქართველებს. აქ იყვნენ იმ დროის ჩვენი ინტელიგენციის მამებიც და შვილებიც. ახალ თაობაში ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა გოგებაშვილს. მას, როგორც პედაგოგს, არ ყავდა ჩვენში ბადალი, ასეთივე დარჩა იგი სიკვდილამდისინ. რომელი ქართველი არ იცნობს გოგებაშვილს, როგორც პედაგოგს. ღირსეულად მისი დაფასება ჯერ არ შეიძლება, დააფასებს პირუთვნელი ისტორია. მე, როგორც მისი ნამოწაფარი, თამამათ ვიტყვი, რომ იგი თავის პედაგოგიურ პრაკტიკაში, შორს უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ეს სჩანს მის პედაგოგიურ ნაწერებიდგან. მისი ზნეობრივი გავლენა უძლეველი იყო არა თუ მოსწავლეთათვის, არამედ მის ტოლ-ამხანაგებისათვისაც. ბევრს, ვინც მას კარგად ვერ იცნობდა, იგი ამაყად ეჩვენებოდა, მაგრამ ის ამაყი არ იყო. ბევრს ამაყობად ეჩვენებოდა მისი ხანდისხან მიუკარებლობა. მართალია რგი მიუკარებელი იყო, მაგრამ მხოლოდ მლიქნელთა, ფარისეველთა და ყველა ზნედაცემულთათვის. ამისთანა ხალხი ეზიზღებოდა. უცაბედათ თუ წინ შეხვდებოდა რომელსამე ამათგანს, უთუოდ ან გზას გადაუხვევდა და ან ზურგს შეაქცევდა. ასევე ექცეოდა თავის უღირს უფროსებსა და ბრძანებლებსაც, ვიდრე სამსახურში იყო. აკი მალეც გამორიცხეს სამსახურიდგან ეგრედწოდებული კანონის მესამე მუხლით, ესე იგი მოუსპეს უფლება, რომ სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. მაგრამ როგორც იტყვიან, არ არის ბოროტება, რომელშიაც სიკეთეც არ ერიოს. გოგებაშვილმა ამ დროიდგან თავისი ძალ-ღონე მთლად შესწირა მოზარდ თაობის გონივრულათ აღზრდა-განვითარების საქმეს, რომ ერი დაეხსნა მომავალში გადაშენების და გადაგვარების გზიდგან. შედეგი მისი მოღვაწეობისა ბრმათათვისაც დასანახია. როგორცა ვსთქვით, იაკობი იყო პირუთვნელი, გამბედავი მხილებელი, უანგარო და ზნეობით სპეტაკი. მის ცხოვრებაში სიტყვა და საქმე განუყრელები იყვნენ. სხვისაგანაც ამას თხოულობდა. მისთვის რომ, შესახებ .რომელიმე საქმისა, კომპრომისზე ლაპარაკი დაგეწყოთ, არ მოგისმენდათ და გაგშორდებოდათ, გაგებუტებოდათ. მაგრამ ცხოვრების ბრუნვამ ასეთი თითქო მისი ჯიუტობა ცოტა არ იყოს მოსტეხა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, იგი დარწმუნდა, რომ მოღვაწე ხანდისხან ან სულ უნდა გაჩუმდეს, რაც მისი ბუნებისთვის შეუძლებელი იყო, და ან ოპორტიუნიზმს მიმართოს. ეს იყო მიზეზი, რომ ზოგმა უსამართლოთ დასწამა მას პიროვნული ეგოისტური მიმართულება. ამ ნაირი შეხედულობა ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილის ორმოც და ათის წლის მოღვაწეობაზედ დიდი და მომაკვდინებელი ცოდვა იქნება. თვითონ იაკობი თავის ღვაწლს უნაკლულოთ არ სთვლიდა, რადგან მისდა დამოუკიდებელ

მიზეზებისა გამო სავსებით ვერ ახორციელებდა საღი პედაგოგიის პრინციპებს, რასაც თითონ პირახდილათ აღიარებდა და განმარტავდა სიფრთხილის საჭიროებით. გმირულ გამბედაობასთან და შეუდრეკელ ხასიათთან შესისხლხორცებული ჰქონდა განსვენებულს გონიერული და წინდახედული სიფრთხილე. საოცარი სიფრთხილით მან შეინახა სამოცდა თორმეტ წლამდინ თავისი, ჯეილობაშივე დაზიანებული, ჯანი. ბევრჯელ უთქვამს წინდაუხედავ მასხრობაზე: ასე რომ არ გავფთხილებოდი თავს, აქნობამდისინ ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდაო. დიახ, უფრთხილდებოდა ჯანს, სურდა ხანგრძლივი სიცოცხლე, მაგრამ თავისთვის კი არა, არამედ როგორც საშვალება სამშობლოს სამსახურისთვის. აგრეთვე ფრთხილი იყო იგი თავის საზოგადო მოღვაწეობაშიაც, რადგან კარგათ იცოდა, რომ ათასი მხრიდგან კბილებს უკრაჭუნებდნენ. გულად და შეუპოვარ თავის ხასიათს იგი თავისივე ნების ძალით აყენებდა ხანდისხან სიფრთხილის ფარგალში. ამითი აიხსნება მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგიერთი ნაკლი. სიფრთხილე, ეს ერთგვარი ოპორტიუნიზმი, სტანჯავდა და სულს უხუთავდა, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ წინდაუხედავი მამაცობით ქვეყანას ავნებდა. ამ რწმენით ჩავიდა იგი საფლავში.

შევევედრნეთ, პატივცემულნო მსმენელნო, უფალსა ღმერთსა, რათა სააქაოს სულით და ხორცით ტანჯულს დიდებულ მამულიშვილს, საიქიოს მიანიჭოს შვება და ლხენა და მის საყვარელ სამშობლოს არ მოაკლოს მისებრივი შვილები.

მადლობელი ვართ!

დაუვიწყარო მოზარდ თაობის აღმზრდელო და საქართველოს მოამაგე და მოჭირნახულე მოღვაწევ იაკობ სიმონისძევ! ვსტირით და ვგლოვთ შენს დაკარგვას არა იმიტომ, რომ შენისთანა მოამაგე აღარ გამოგვიჩნდება—ასეთი სასოწარკვეთილება შენი ნათელი პიროვნების შეურაცხება იქნება, რადგან დაუჯერებელია, რომ შენისთანა აღმრზდელს შესაფერი მემკვიდრე არ დარჩეს აღრზდილთა შორის, და თვით შენი გამოჩენა საქართველოში განა თავდები არ არის იმისა, რომ ქართველ ერს შეუძლია წარმოშვას შენისთანა გმირები? არა, ჩვენი გლოვა—ტირილი არ არის სასოწარკვეთილების შედეგი. იგი ნაყოფია ჩვენი შენდამი სიყვარულისა, ფასდაუდებელო აღმზრდელო, იგი ნიშანია იმისა, რომ ჩვენ ვაფასებთ შენ მოღვაწეობას, შენ შრომას, შენ ამაგს; ჩვენ გული გვწყდება, რომ ვეღარ გიხილავთ ხორციელად, ვეღარ დავსტკბებით შენი ტკბილი მუსაიფით; ჩვენ, მორწმუნე ნაწილი შენგან აღზრდილ თაობსა, დარწმუნებული ვართ, რომ შენი მოღვაწეობა საქართველოსათვის არ დასრულებულა შენი მიცვალებით, რომ შენი ნათელი სული სხვა ქართველთა ნათელ სულებთან ერთად დარაჯად დაუდგება ღვთის წინაშე საქართველოს კეთილდღეობას; ჩვენ გვრწამს, რომ ის სიყვარული და ერთგულება სამშობლოსი იქაც ისე დაგატკბობს, როგორც აქ გატკბობდა! მაშ რაღა დაგვრჩენია მის მეტი, რომ დიდი ძალიან დიდი ქართველური მადლობა არ გითხრათ! გმადლობთ ჩვენი აღზრდისათვის, გმადლობთ დედა ენის აღდგენისა და დაცვისათვის, გმადლობთ შენი ტკბილი, მომხიბლავი ნაწერებისათვის, გმადლობთ შენი უხვი შეწირულებისათვის, დიდი მადლობელი ვართ, რომ ყოველივე ტანჯვისა და იწროების მიუხედავათ შენ შენი ძლიერი ნიჭი არ დაუმარხე ტანჯულ მამულს. გმადლობთ და ვეცდებით დაგიმტკიცოთ, რომ ჩვენ შენი ღირსეული მოწაფეები ვართ.

რედაქცია

იაკობ გოგებაშვილის ხსოვნას.

ქართველთა სასიქადულო
და მოდარაჯე ენისა,
უებრო მამულიშვილი,
მოყვარე თვისი ერისა,

მუშაკი დაუღალავი,
ერთგული განათლებისა,
ერის სიმდიდრე, მიზეზი
სამშობლოს აყვავებისა,

—

დიდუბეევ, მიიღე იგი
წინაპართ შორის, ვით თვისი,
საფლავი განსასვენებლათ
აქ მოიმზადა მან მისი!

—

ზეცას მიილტვის, რომ წარსდგეს
წინაპართ შორის პირნათლათ,
ხორცით მაშვრალი, იქ სულით
შვებას მიიღებს სამართლათ.

—

მამულის ერთგულო შვილო,
სამშობლო გგლოვობს მწარეთა,
სახელმძღვანელო წიგნები
ცრემლებს ღვრის, მგლოვიარეთა....

—

მისი წიგნებით აღზრდილნო,
შევძღვნათ მას სამადლობელი....
და საუკუნო ხსენება
ექნეს მას გაუქრობელი.

რ. საჯავახელი.

6 ივნისი 1912-წ.

იაკობ გოგებაშვილის ანდერძი

განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი ქონება გაანაწილა ამნაირად: 1) ყველა წიგნები და სახელმძღვანელოები შესწირა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ამავე საზოგადოებას შესწირა მიწა, ზომით 260 საჟენი, ვერაზე.

ანდერძით ამ გამოცემებიდან შემოსულ ფულის მოგებით უნდა დაარსდეს განსვენებულის სამშობლო სოფელ ვარიანში სამაგალითო სახალხო შკოლა. გარდა ამისა ამავე წიგნების შემოსავლიდან უნდა ეძლიოს დახმარება სხვა და სხვა კერძო პირთ. უნდა მიეცეს დახმარება 1) ეკატერინე გაბაშვილის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელს 12 თუმანი წელიწადში, 2) საზოგადოება „განათლება"-ს 12 თუმანი წელიწადში, 3) ქართულ საბავშვო ბაღსაც 12 თუმანი წელიწადში. განსვენებულის რუსულისა და ქართულ წიგნების თითო გაყიდულ ეკზემპლიარიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ ერთი კაპეიკისა სახალხო განათლების ფონდის შესადგენად. ამ ფონდის სარგებლით უნდა დაენიშნოს სტიპენდიები განსაკუთრებით სახალხო შკოლებიდან გამოსულ მოსწავლეთ. ამ ფონდის სასარგებლოდ უნდა გაიყიდოს ვერის მიწაც. ამავე ფონდს უნდა მოხმარდეს ნახევარი იმ ნაღდი ფულისა, რომელიც დარჩა განსვენებულს. სარგებლის დახარჯვა საზოგადოებას შეეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფონდი ათი ათას მანეთამდე გაიზრდება.

გარდა ამისა წიგნების შემოსავლიდან წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა აძლიოს ყოველ-წლიური სუბსიდია ჟურნალ „განათლება"-ს, არა ნაკლებ სამასი მანეთისა წელიწადში. საზოგადოებამ უნდა აძლიოს აკაკი წერეთელს ათ-ათი თუმანი წელიწადში ჰონორარად იმ ლექსებისა, რომელნიც მოთავსებულია გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში.

ფულად განსვენებულმა იაკობ სვიმონის ძემ დასტოვა დაახლოვებით 13 ათასი მანეთი. ეს თანხა ანდერძით ამნაირად არის განაწილებული: 1) დასამარხად და ძეგლისთვის უნდა გადაიდოს არა უმეტესი სამი ათას მანეთისა; 2) ერთი ბილეთი უნდა მიეცეს წერა-კითხვის გამავრცელებ. სახალხო განათლების თანხის შესადგენათ; 3) მეორე—ბილეთი სალიტერატურო ფონდს; 3) მესამე ქართული დრამატიულ საზოგადოებას; 4) მეოთხე—ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას; 5) მეხუთე—ჟურნალ „განათლება"-ს 6) მეექვსე—ტფილისის სახალხო უნივერსიტეტს. ყველა ეს ბილეთები უსათუოდ დაზღვეული უნდა იყოს და, ტირაჟის გმოსვლის შემდეგ, უნდა შეიძინონ ახალი.

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ყველა გირავნობის ფურცლები შესწირა წერა-კით-

ხვის საზოგადოებას სახალხო განმანათლებელ ფონდისთვის.

ამას გარდა, ზოგი რამ განსვენებულმა იაკობ სვიმონის ძემ დაუტოვა თავის ნათესავებს.

მოძღვარი.

მოვალენი ვართ თუ არა ეკლესიაში ვიაროთ?

როცა რომელიმე საღვთო-სარწმუნოებრივ საგანზე ვსჯით, როცა რომელიმე რელიგიურ საკითხს ვარჩევთ, როგორიც არის მაგ. ზემო აღნიშნული საკითხი: მოვალენი ვართ თუ არა ეკლესიაში ვიაროთ, ე. ი. საზოგადო ღვთისმსახურებას დავესწროთ,— საჭიროა თვალწინ დავიყენოთ ქრისტე, როგორც მაგალითი, როგორც პირველსახე ჩვენი ზნეობრივი მოქმედებისა, როგორც სარკე, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი მოქმედების კეთილ მხარეს და მაშასადამე ბოროტსაც, როგორც კეთილის წინააღმდეგს. ასე უნდა იქცეოდეს ქრისტიანე ყოველ სარწმუნოება-ზნეობრივ საკითხების გადაწყვეტის დროს მიტომ, რომ იესო იქრისტე თვით განხორციელებული ზნეობაა, რომელშიდაც არ იპოება ცოდვის აჩრდილიც, იგი ჭეშმარიტებაა და ყოველივე ჭეშმარიტებას ამტკიცებს თავის თავით, თავის სწავლით ცხოვრებით, მოქმედებით. თუ გინდა უცთომელი იქნე რომელიმე მოქმედებაში შეეკითხე შენ თავს, როგორ მოიქცეოდა ქრისტე იმ მდგომარეობაში, რომელშიდაც შენ ხარ; თუ გნებავს არ შეცდე რომელიმე ზნეობრივ საკითხის გადაწყვეტაში, დაეკითხე შენ თავს, როგორ პასუხს გასცემდა ამ საკითხს ქრისტე მაცხოვარი?—ასე მოვიქცეთ ამ საკითხშიაც: მოვალენი ვართ თუ არა ვიარეოდეთ ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს? ვკითხოთ მაცხოვარს, როგორ უპასუხებს იგი ამ საკითხზე. იგი ჯერ კიდევ ყრმა იყო, ცამეტი წლის იყო, როცა ერთხელ ურიათა შესაკრებელში (სამლოცველოში) დარჩა და როცა დედამ უსაყვედურა ასეთი საქციელი, მან უპასუხა: „არა უწყითა, რამეთუ სახლსა მამისა ჩემისასა ჯერ არს ჩემი ყოფა“? მეორეთ, დაიწყო თუ არა საზოგადო მსახურება, მან განსწმიდა ტაძარი მოვაჭრეთაგან, რომლებსაც სჯულის წინააღმდეგ ღვთის სახლი სავაჭრო სახლად გადაექციათ, და უთხრა მათ: „აღიღეთ ესე აქედან და სახლსა მამისა ჩემისასა ნუ ჰყოფთ სახლ სავაჭრო“! თვით გადაიხადა საეკლესიო გადასახადი და მოეწონა ღარიბ ქვრივის საქციელი, როცა მან გულსავსეთ შესწირა ტაძარს ერთი წვლილი. აქედგან ცხადათ სჩანს თუ რა პატივით ეპყრობოდა მაცხოვარი ტაძარს. იგი უწოდებს მას ღვთის სახლად, სალოცველ სახლად და მისი სიწმიდის შეგინებათ მიაჩნია შიგ ვაჭრობა და ყოველი მოქმედება გარეშე ლოცვისა და ღვთისმსახურებისა.. თვით მას ერთი დღესასწაულიც არ გაუშვია, რომ იერუსალიმის ტაძარში არ მოსულიყოს და საზოგადო მსახურება არ შეესრულებიოს.

უკანასკნელადაც კი, როცა იგი სავნებელად მივიდა ირეუსალამში, უკანასკნელადაც კი შეასრულა ხორციელი მოვალეობა და საღვთო ჩვეულება თავის ხალხისა, ე. ი. აღვიდა იერუსალიმში, რათა აღასრულოს პასქა. რამდენად წმიდად მიაჩნდა და უყვარდა მას ტაძარი, ამას ნათლად გავითვალისწინებთ უფრო მაშინ, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ ტაძარში, მსახურებდენ ის მღვდელმთავრები და მღვდლები, რომლებსაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ამხილებდა, აქ მსახურებდენ სწორეთ ის ანნა და კაიაფა მღვდელმთავრები, რომლებიც დაუძინებელი მტრები იყვნენ იესოსი, რომლებმაც დამოკიდეს იგი ჯვარზე, რომლებმაც ასვეს მას ნაღველი ძმარითა განზავებული, რომლებმაც უგმირეს გვერდსა მისსა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი სავსე იყო მისი მტრებით, მას მაინც უყვარდა იგი, მაინც დაიარებოდა იქ, მაინც ესწრებოდა საზოგადო ღვთის მსახურებას, თუმცა, ვიმეორებთ, ამ ღვთის მსახურებას ასრულებდენ მისი მოსისხარი მტრები, თუმცა ყოველ მის მოსვლაზე იერუსალიმში, მღვდელმთავრები განკარგულებას იძლეოდენ, მის შესაპყრობად.

თუ იესოს ასე უყვარდა და მიაჩდა ტაძარი, თუ იგი ღმერთი და კაცი საჭიროდ რაცხდა იქ სიარულს საზოგადო ღვთის მსახურებაში მონაწილეობის მიღებას, თუ მას მტრების ბოროტი განძრახვაც კი ვერ აკავებდა, ვერ უშლიდა ტაძარში სიარულს, რა უფლება გვაქვს ჩვენ, რომელნიც ღირსნი არა ვართ „ხამლთა მისთა განხსნად“, რა უფლება გვაქვს ჩვენ, გეკითხებით, უარვყოთ ტაძარი, როგორც განსაკუთრებული შენობა საზოგადო ღვთის მსახურებისათვის, რა უფლება გვაქვს დავაკლდეთ საზოგადო ღვთისმახურებას, რა უფლება გვაქვს ყოველ დაწესებულ დროს არ ვიარებოდეთ ეკლესიაში, რა უფლება გვაქვს გაურბოდეთ საზოგადო ღვთისმსახურების შესრულებას, რა უფლება გვაქვს მოვიძულოთ ის, რაც უყვარდა ჩვენ მხსნელს, ჩვენ მაცხოვარს, რის სიწმიდესაც ასე თავგამოდებით იცავდა იგი?

დღევანდელ ნასწავლებს, რო კითხო, ტაძრები თეატრებად უნდა გადიქმნას და სამღვთო მსახურება, როგორც დრომოჭმული ჩვეულება, როგორც ველურობიდან შემორჩენილი ცრუ მორწმუნოება, სრულიად მოისპოს; ტაძარში სიარული დროს დაკარგვაო, ამბობენ იგინი, ტაძარი და საღვთო მსახურება მღვდლების მოგონილი მანქანებაა გულუბრყვილო მორწმუნეთა საგლეჯათო. ვის დაუჯეროთ? მას ვინც სისხლით, ჯვარცმითი სიკვდილით აღებეჭდა თავის სიტყვების და მოქმედების სინამდვილე და სარგებლობა, თუ მათ, რომელთაც სიკვდილის და წამების შიშით მახმადსაც კი ალოცვინებ, მას ვინც მკვდრეთით აღდგომით დაამტკიცა თავის მოძღვრების სინამდვილე, თუ მათ რომელთა სიტყვა ქარია და რწმენა— ადვილად მისახრელ მოსახრელი ლელწამი? რომელ მოძღვრებას მივემხროთ, მას რომლის მსგავსი არ შეუქმნია ჯერ კაცობრიობას და ვერც შექმნის, თუ მას, ოომელიც ყოველ დღე იცვლება, ყოველ დღე მტყუნდება და სულ ახალ ახალ კვლავ გასამტყუნებელ ჭეშმარიტებებს იძლევა; მას, რომელმაც მოხიბლა და მიიმხრო მთელი საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა, თუ მას რომლის დამცველნი და მიმდევარნი არიან გონება დამახინჯებული ერთეულნი; მას, რომელმაც დაბადა ზნეობის გმირები, კაცობრიობის მანათობელნი ლამპარნი—წმიდანი მამანი და მორწმუნე მეცნიერნი, თუ მას, რომელმაც წარმოშვა ჯოჯოხეთური ზნე-დაცემულება?

„ხე ნაყოფისაგან იცნობებისაო“ ბრძანა თვით ჭეშმარიტებამ და თუ გნებავსთ გაიგოთ, რა ნაყოფს იძლევიან ისინი, ვინც ტაძარს და საზოგადო მსახურებას უარყოფენ, შეიხედეთ მათ სახლებში, შეიხედეთ კლუბებში, თეატრებში. რას ნახავთ? ღვინო, ბანქო. რბილი სარეცელი; არა ვითარ საზოგადო მოღვაწეობას არ წევიან, არავითარ სიკეთეს არ სთესენ იგინი იმ დროს, როცა ზარის ხმა უწოდებს მათ საზოგადო მსახურებისათვის. თეატრი, ეს ვითომდა გონება-ზნეობის განმავითარებელი საერო დაწესებულება, ეს თანამედროვე კერპიც კი აინტერესებს მათ, როგორც გასართობი, დროს გამტარებელი, მოწყენილობის გამქარვებელი რამ. განა შეიძლება ასეთი მოძღვრების ნდობა, განა შეიძლება, განა ხელსაყრელია მათი მაგალითის მიბაძვა?

ამბობენ, ღმერთი ყველგან არის და, სადაც ილოცავ, სულ ერთიაო. დიახ ღმერთი ყველგან არის, მაგრამ ადამიანი კი ყველგან არ ლოცულობს. ვინც ეკლესიაზე არ დაიარება წირვა-ლოცვაზე, იგი არც სახლში ლოცულობს, თუ ლოცვათ არ ჩაუთვლით, როცა უცაბედურათ პირჯვარს გამოისახავს. ვისაც ლოცვა უყვარს, ის ეკლესიაშიდაც მოვა თავის დროზე. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე ხშირათ, თითქმის ყოველ დღე, განმარტოებით ლოცულობდა, იგი საზოგადო მსახურებასაც არ აკლდებოდა. მოციქულები იერუსალიმის ტაძარშიც ესწრებოდენ საზოგადო მსახრებას და კერძო სახლებშიაც იკრიბებოდენ კვირა დღეს საიდუმლო ზიარების შესასრულებლად. განა ეს საკმარისი მაგალითი არ არის, რომ კერძო ლოცვაც საჭიროა და საზოგადოც? სტყუიან და მხოლდ თავს იმართლებენ ის ბატონები, რომლებიც ამბობენ, ვითომ სახლში ვლოცულობთო.

გარდა ასეთი საღვთო მაგალითისა თვით

საზოგადო საღვთო მსახურება თავის გარეგანი ფორმით და ღრმა შინაარსით ღირსია მისი, რომ ქრისტიანე ადამიანი არ აკლდებოდეს მას. განსაკუთრებით საღვთო ლიტურღია ან წირვა წარმოგვიდგენს თვალ წინ იესო ქრისტეს მთელ ქვეყნიურ ცხოვრებას დაბადებიდგან მის დიდებულ ამაღლებამდე. საგალობლები და საკითხავები ხან ამაღლებენ და აფრთოვანებენ კაცის სულს, ხან ახედებენ მას თავის შინაგან არსებაში და აგრძნობინებენ თავის სიბილწეს და უძლურებას, უღვიძებენ მიძინებულ სინიდისს და აგონებენ, რომ გარდა იმ სფეროსა, სადაც ადამიანებს უხდება ცხოვრება და მოქალაქობა, არის სხვა, სულ სხვა სფერო, სადაც დამკვიდრებულია სიწმიდე, მშვიდობა და სათნოება, სადაც არ არის ჯირი და ურვა, სადაც მკვიდრობენ მხოლოდ მოქმედნი კეთილისანი.

მივბაძოთ ქრისტეს მაგალითს, თუ მორწმუნენი ვართ ქრისტესნი, მივდიოთ მის კვალს, თუ გულით ვღებულობთ მის სწავლას და მოძღვრებას. ღმერთს არ ესაჭიროება ჩვენი მსახურება, იგი ჩვენივე გამოსადეგია, ჩვენივე სასარგებლოა. ნუ უყურებთ ახალ-მოდის მოძღვრებს. ამ საგანში მათ არაფერი გაეგებათ. თვალწინ დავიყენოთ მაგალითი ქრისტესი—ეს უტყუარი გზის მაჩვენებელი ლამპარი. ვიაროთ ეკლესიაში და გულმხურვალეთ ვილოცოთ ის, ვინც ლოცვა დაგვავალა. და აღთქმაც მოგვცა: „ითხოვდით და მოგეცესთო, ირეკდით და განგეღოსათო“; ანუ კიდევ: „რაიცა ითხოვოთ მამისა ჩემისაგან სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რათა იდიდოს ძე მამისათანაო“!.

საკითხი სულის უკვდავებაზე[1].

თარგმანი.

გაგრძელება

მაგრამ ძირითადი შეცთომა ამ თეორიისა იმაშია, რომ ის შესაძლებლად სცნობს რამოდენიმე ერთეულ შეგნებათა ერთ საზოგადო შეგნებად შეერთებას, ეს იმის მსგავსია, რომ ივანეს, პეტრეს, ალექსანდრეს და ვასილის შეგნებანი ერთად რომ შევაერთოთ, გაჩნდება ახალი-შეგნება რომელიმე ნიკოლოზისა, უფრო სრული, მაღალი და უნაკლულო. თუ პეტრე და ივანე რომელიმე საქმეს ერთად ასრულებდნენ ჩვენ, რასკვირველია, მათ მაგიერ მოქმედ პირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთი პიროვნება, რომელიც იმასვე აკეთებს, რასაც პეტრე და ივანე. ამის წარმოდგენა შეიძლება, მაგრამ ის ფაქტი, რომ მუშაობის დროს პეტრე და ივანე ყოველთვის გრძნობდნენ თავის თავს განცალკევებულ ერთეულებად და რომ მათ ორ „მე“-ს არა გზით არ შეუძლია ერთ საზოგადო და მაღალ „მე-“დ შეერთდეს, ეს ფაქტი უეჭველია ყოველთვის ფაქტად დარჩება. პსიხიკურ ატომიზმის მომხრეებს ერთი საერთო „მე“ გამოჰყავთ ბევრ პატარა „მე“-საგან, როგორც ეს მექანიკაშია, სადაც თანასწორ მოქმედი ძალები შესდგება მათ შემადგენელ ძალთაგან. ისინი რომ დაჰკვირვებოდენ ამ შედარებას, მასში ვერ დაინახავდენ თვისი თეორიის საფუძველს, არამედ უარის ყოფას. მართლა რას უწოდებენ მექანიკაში თანასწორ მოქმედ ძალად? ეს რომელიმე სხეულზე მოქმედ ძალთა მაგიერი ძალაა, რომელიც ისეთს შედეგს იძლევა, როგორც ის ძალები, რომელთა მაგიერ ის მოქმედებს. თუ სხეულ A-ზე სხვა და სხვა მხრით მოქმედებენ ძალები P, Q, S და აიძულებენ სხეულს იმოძრავოს ხაზზე MN, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რომელიმე ძალა „R“, რომელიც P, Q, S ძალთა მაგიერ აიძულებს სხეულს A-ს იმოძრავოს ხაზზე MN. მაგრამ როცა ვამბობთ ასეთ შესაძლებლობაზე, ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოქმედების დროს თითოეული ძალთაგანი R, Q, S მოქმედებს თავის თავად, კერძოდ და სრულიადაც ად ერთდებოდენ ახალ, მაღალ და საზოგადო ძალად. ამნაირადვე, თუ ჩვენ გვაქვს პსიხიკური ატომები a, b, c, d, e, f, რომელნიც ერთად მოქმედებენ, ჩვენ თითოეული მათგანი წარმოდგენილი გვაქვს, როგორც განკერძოებული და ამასთან ჩვენთვის ცხადია, რომ ასეთ ატომების შეეცნებათა, თუ მათ აქეთ შემეცნება,—ერთ საზოგადო შემეცნებად შეერთება ყოველად შეუ-

[1] იხ. „შინ. საქ.“ № 21.

ძელებელია. საზოგადოდ, განკერძოვებულთ ერთ ერთეულად შეერთება მხოლოდ სუბიექტიურ წარმოდგენაში შეიძლება და არა ობიექტიურ სინამდვილეში. ვინაიდან ჩვენი თვითშემეცნება სინამდვილეა, და არა მოვლენა, ამიტომ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ ის პსიხიკურ ატომების შეერთების გზით წარმოსდგება. მაშასადამე, **არც პსიხიკურ ატომიზმის თეორია** შეგვიძლია მივიღოთ და არც ამ თეორიის დასკვნა სულის უკვდავების საკითხის ასახსნელად. ჩვენ უნდა მივმართოთ სხვა თეორიების გარჩევას. მივიქცეთ **პანთეიზმის** თეორიისადმი.

პანთეიზმი წარმოადგენს მატერიალიზმის წინაღმდეგ დოქტორინას და მათი წინაღმდეგობა უფრო მკვეთრად სჩანს მათს სწავლაში სულის უკვდავებაზე. მატერიალიზმის თვალსაზრისით სული არის ჯამი ბევრ ერთეულებისა, პანთეიზმის თვალსაზრისით კი—პატარა ნაწილია ერთეულისა. მატერიალიზმი ასწავლის, რომ უკვდავია ის ერთეულები, რომლებისგანაც შესდგება სული, პანთეიზმი კი, წინაღამდეგ, ამტკიცებს რომ უკვდავია ის ერთეული, რომლის ნაწილს შეადგენს სული. პანთეიზმი ასწავლის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი რომ მსოფლიო როგორც ფიზიკური ისე პსიხოლოგიური მხრით მეტი არაფერია, გარნა გამოჩინება ღვთაებრივ არსებისა. კერძო მოვლენა, კერძო პირები მსოფლიოში მხოლოდ შემთხვევითი, დროებითი და ცვალებადი გამოჩინებაა უცვლელ ღვთაებრივ არსებისა. მათი აბსოლუტთან დამოკიდებულება ისეთია, როგორც ოკეანეში ტალღების დამოკიდებულება თითონ ოკეანესთან. ოკეანეში აგორებული ტალღა ერთ წამს წარმოადგენს თავის თავად რაღაც ინდივიდუალურს, თავისებურს, მაგრამ გადის წამი და ის ხელ-ახლა ჰქრება ოკეანეში, რომელშიაც წინეთ იყო. ასეა ადამიანიც. მასში გამოჩინებული სულიერი დასაწყისი საუკუნოიდგან იყო ნაწილი აბსოლუტურ სულისა, ერთ წუთს განკერძოვდა მისგან და მიიღო ბეჭედი ინდივიდუალობისა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ხელ-ახლა გაჰქრეს აბსოლუტში.

პანთეიზმი უძველეს დროიდამ ბევრ მეცნიერებს იზიდავდა. ბევრს ეგონა, რომ ყველა სწავლათაგან ის უფრო აკმაყოფილებს ჭკუის და გულის მოთხოვნილებებს. ადამიანს აქვს მისწრაფება ყველა მოვლენების გაერთიანებისა, სარწმუნოებანი კი არ აკმაყოფილებენ ამ ლტოლვას, მათში მეფობს დუალიზმი ან და პლიურალიზმი.

მატერიალიზმი, რომელიც აღიარებს ყოვლის წარმომშობელ დასაწყისად მხოლოდ ერთ მატერიას, არსებითად არ აკმაყოფილებს ამ გაერთიანების მოთხოვნილებას: პირველ საფუძვლად არსებისა ის აღიარებს ატომების უთვალავ რაოდენობას. თვით არსება ასეთი უმნიშვნელო ერთეულებისა, მათი გაცალკევება და ამავე დროს მათი ურთიერთან დამოკიდებულება წარმოადგენს ბევრ გაუგებარს წინააღმდეგობას. პანთეიზმში კი პირველ საფუძვლად არსებულისა არის ნამდვილი ერთეული აბსოლუტი. დაუსაბამობა და აბსოლუტობა, რასაკვირველია, ნამდვილი პირობებია თვითარსებობისა. ჩვენთვის გასაგებია, რომ აბსოლუტი საკმაო მიზეზია თავის თავისა, რაც ჩვენ არ შეგვიძლია აღვიაროთ ატომის შესახებ. შემდგომ, ჩვენთვის გასაგებია, რომ აბსოლუტს შეუძლია გამომჟღავნდეს მოვლენათა უსაზღვრო სხვა და სხვაობაში, აგრეთვე ჩვენთვის გასაგებია ამ მოვლენათა ერთმანეთს შუა კავშირი და დამოკიდებულება, იმიტომ რომ მათ აქვთ საერთო მიზეზი და კიდევ იმიტომ რომ მსოფლიოში განკერძოვებულად არაფერი არ არსებობს.

თუ ამნაირად პანთეიზმი, ამბობენ მისი მიმდევარნი, ყველა არსებულ მსოფლმხედველობაზე უფრო აკმაყოფილებს ჭკუას, უნდა აღვიაროთ, რომ ესტეტიკური მხრითაც პანთეიზმი უფრო აკმაყოფილებს გულის მოთხოვნილებებს. ის ამტკიცებს, პირველად, უსაშველო კავშირს ადამიანისა ღმერთთან და, მეორედ, ადამიანთა ერთმანეთ შორის ორღანიულ კავშირს. ადამიანები ძმებია ერთიმეორისა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ორღანიულად გარდაბმულ გამოჩინებას ერთ აბსოლუტურ სულისას. და თუ სიყვარული და ერთობა მოსიყვარულე არსებათა არის უმაღლესი ნეტარება, მაშინ პანთეიზმი

ისე უხსნის მათ არსს, რომ იგი (არსი) უფრო ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს ამ ნეტარების მისაღწევად. ესმოდა რა სარწმონოება, როგორც ტკბილი გრძნობა განსაზღვრულ სულისა აბსოლუტთან ერთეობისა და ზიარებისაგან წარმომდგარი, ბევრი პანთეისტი იყო მორწმუნე. მოვიყვანოთ თუნდ რენანის განმარტება: „ჭეშმარიტი სარწმუნოება, ამბობს ის, არის ნაყოფი მდუმარებისა და აზრთა მოკრებისა. ის იმ წამში იბადება, როცა კეთილმოქმედი ადამიანი თავის საკუთარ არსებაში შესული, ყურს უგდებს თავის შინაგან ხმებს. როცა ყველა გრძნობა დაწყნარდება და შესწყდება გარემო ხმაურობა, მაშინ სულის სიღრმიდგან ამოდის რაღაც ტკბილი, მომხიბლველი თხრობა, და, როგორც დაშორებული ზარის ხმა, მოგვაგონებს დაუსაბამოის საიდუმლობას. მოაზრე ადამიანი მაშინ როგორღაც თავის თავს სამშობლოს გარეთ გრძნობს და გული უღონდება; ის უარს ჰყოფს ქვეყნიურ ბნელ სინამდვილეს, აზრით მიილტვის სინათლით სავსე ქვეყნებისადმი, სიკვდილი, მომავალი წმინდა ქვეყნიდგან მწირის ტანისამოსში, სულის კარს უკაკუნებს და ადამიანი გრძნობს, რომ სიკვდილი მისთვის ტკბილი იქნება“. პანთეიზმის თეორიის თვალთასრისით სიკვდილი არის სულის დაბრუნება აბსოლუტურ სუბსტანციის წიაღში, ტკბილ-ნეტარი გარდაქმნა ინდივიდეალურ „მე“-სი ღვთაებრივ უსაზღვროებაში. ამნაირად ერთი შეხედვით პანთეიზმი აკმაყოფილებს სულის ყველა მოთხოვნილებებს და ამიტომ არც გასაკვირია, რომ ფილოსოფიის წარმომადგენელნი უმეტეს ნაწილად მისი მიმდევრნი იყვნენ.

ჩვენ მაინც არ გავყვებით მათ. ჩვენი აზრით პანთეიზმის მატერიალიზმზე უპირატესობა იხატება ამ დოქტრინის გაუგებრობა-გამოურკვევლობაში, რაიც დიდათ აძნელებს მის კრიტიკულად განხილვას. ჩვენ არ შეუდგებით ამა თუ იმ პანთეისტურ სწავლის სიყალბის მტკიცებას. ეს ადვილია, მაგრამ მაშინ ჩვენი განხილვა ძალიან მოსაწყენი იქნებოდა.

ფ—პე სი—ძე.

კვირიდამ-კვირამდე

ქუთაისის წმ. ნინოს ზაეედეხიის საღვთოსჯულის მასწავლებლად ნაცვლათ დათხოვნილი დეკანოზ ე. მაჭარიშვილისა, თანახმად ექსარხოსის სურვილისა, გადმოუყვანიათ ბოდბის მონასტრის მღვდელი მ. ნაცვლიშვილი.

მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი საზაფხულოთ ორი თვით იალტაში წაბრძანდა 10 ამ თვიდან.

სემენარიიდან დათხოვნილი შეგირდებს იმერეთის ეპარქ. კანცელარიით მოწმობები მოუვიდათ. ყოფაქცევაში ნიშანი არ აქვთ.

რაც ი. ს. გოგებაშვილი გადაიცვალა, ქუთაისში პანაშვიდები არ შეწყვეტილა სხვა და სხვა ქართულ ჯგუფთა და დაწესებულებათაგან. მისმა მეუფებამ ორჯერ გადიხადა პანაშვიდი. პირველი თვით წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა რომელიც სობოროს სამღვდელოებით, რომელზედაც აქვე იბეჭდება, ხოლო მეორე ქალაქის სამღვდელოებითურთ, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა დეკ. ვ. დოლაბერიძემ.

იმერეთის სამღვდელოების სახელით ი. ს. გოგებაშვილის დაკრძალვაზე დასასწრებლად გაგზავნილ იქმნენ დეკ. ი. აბესაძე და მღ. ი. ბაკურაძე.

გაბრიელის ქადაგების ბეჭდვას იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა უკვე შეუდგა. იმედი გვაქვს რომ ეს გამოცემა წელიწადზე ადრე დამთავრდება.

იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობას განძრახული ჰქონდა გამოეცა შემოკლებული კურთხევანი და დიდმარხვის პირველ

და უკანასკნელ კვირიაკეში სახმარი წიგნები, მაგრამ, მიუხედავად ყოვლად სამღვდელო გიორგის შუამდგომლობისა, კანტორამ ნება არ დართო; წიგნები კი არა გვაქ ეკლესიაში!...

მღ. ე. მაისურაძე ას მანეთს დაპირდა „შინაურ საქ“ რედაქციას, რომლითაც უნდა გამოიცეს წიგნი „სინამდვილე სახარებისა“ და მუქთად დაურიგდეს ეკლესიებს. ეს წიგნი უკვე გამოვიდა და ფულის მიღებისთანავე დაურიგდება ეკლესიებს. ვინც წიგნს ფოჩტით დაიბარებს ორ შვიდკაპიკიან მარკას გამოგვიგზავნის.

კრიტიკა.

ეკატერინე გაბაშვილისა.

II

ავიღოთ ახლა ჩვენი მწერლის მოთხრობა **„რომანი დიდ-ხევაში“** (გვ. 25), სადაც ორი არსების, მაროსა და პავლეს სიყვარული აქვს მას აღწერილი და მოკლეთ განვიხილოთ. მაროს და პავლეს სიყვარულს, იმათი დაკავშირების საქმეს ხელს უშლის იმათი ერთი მეორის მძახლობა და ეს გარემოება შეიქნება მთელი სოფლის სალაპარაკო საგანი. ამ მიზეზების გამო იმათ ღვდელიც არ დაწერს ჯვარს.

მართალია, პავლე ხმამაღლა იძახის: „ახლა სიყვარული სირცხვილი როდია! ახლა სირცხვილი ის არის, თუ უსიყვარულოდ ცოლს შეირთავს ვინმე. მე და შენ რომ ერთმანეთი გვიყვარს, ვის რა აკლდება?... მარო, ძალით იქნება, თუ ნებით, ჩემი უნდა, გახდესო“. მაგრამ სურვილი ვერ შეისრულა, მთელი სოფელი მათი სიყვარულის წინააღმდეგ ამხედრდა და ორი ადამიანი შეიქნა საუკუნოდ გაუბედურებული წევრი საზოგადოებისა. პავლე, ბოლოს, ხანჯლით მოკლავს მაროს და თვით საპყრობილეში მოკვდება ჭლექით. ამგვარად, სოფელს გაულმერთებია ბუნების წინააღმდეგი ჩვეულება, რომელიც სხვერპლად იწირავს ორს სასარგებლო და სოფლისთვის თავმოსაწონებელ არსებას და ამ გარემოებას მთელი თვისი არსებით პროტესტს უცხადებს ავტორიც...

ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ამ მიზეზის გამო, მაროსა და პავლეს ჯვარს არ წერდეს ღვდელი. როგორც ვიცი, ასეთი მოჭორებული ნათესაობა ჩვენს ეკლესიას არა სწამს და, მაშასადამე, ღვდელსაც ნება არ ქონდა ჯვარი არ დაეწერა. ეს ცოტა არ იყოს ნაძალადები ამბავი გახლავთ. მაგრამ ეს გარემოება დიდად საჭირო იყო ჩვენი რომანტიკოსი მწერლისთვის, რომ მკითხველის გულში უფრო აღეძრა ზიზღი და სიძულვილი ასეთი არა ნორმალური მოვლინებისა...

ამავე მოთხრობაში ავტორი ეხება სოფლის წოდებათა ურთიერთობასაც და აწერილი აქვს ნაბატონარის მოურავის და გლეხთა შეტაკება, იმათი ინტერესების ბრძოლა. ერთს დღეს „გადამთიელ იმერელს“ ივანიკასა და გლეხების წარმომადგენლის, პავლეს შორის დიდი ჩხუბი ატყდება. მოურავი, „წუწკი იმერელი“, კინაღამ მოკლეს სოფლის ტეტიებმა, მაგრამ „რევოლვერმა უიარაღო ხალხი უკან დააყენა. ივანიკამაც უკან-უკან დაიწია და ბოლოს კარებში გავარდა.“ რა თქმა უნდა, ავტორის სიმპატიები ტეტიებისკენ არის და ეს მოთხრობაც, სხვათა შორის, ახასიათებს მას, როგორც იმ დროის მწერალს.

მოთხრობაში „კონა“ (გვ. 81) ავტორს აწერილი აქვს, თუ როგორ იზრდებოდა სხვის კარზე მოსამსახურედ კონა, რომელიც დედინაცვლის მეოხებით სხვის მოსამსახურედ მიეგდო მის ღვიძლ მამას. კონა იზრდებოდა ბატონისას და დიდი ტანჯვა და ჯოჯოხეთი აიტანა მან, რომელსაც თანამგრძნობი და მომფერებელი არავინ ყავდა, გარდა ლევანისა, რომელიც იყო დედით ობოლი და მისი „დედინაცვლისგან ბევრჯელ უსამართლოდ დასჯილი“.

თუმცა სოციალური მდგომარეობით კონა და ლევანი ერთი მეორისგან დიდად განსხვავდებოდენ, მაგრამ ისინი მწუხარებას და ობლობას ერთი მეორისათვის ძლიერ დაეახლოვებია

და დროს მომეტებულად ერთად ატარებდენ. ერთმანეთის უბედურებით დაკავშირებული ობლები ერთი მეორის შებრალებაში დიდ შეღავათს პოულობდენ, ერთმანეთს იგინი სიყვარულით და ალერსით ეპყრობოდენ. გადასწყვიტეს ერთხელ კიდეც, რომ მოშორებოდენ თავიანთ მწვალებლებს და გაიპარენ სადღაც, მაგრამ ლევანის მამამ იგინი გზაზე ვაგონში დაიჭირა და სახლში მოიყვანა.

ქალბატონი წიხლებით შედგა კონას „და იქ მდგომ ბიჭებს, რომ არ შეენიშნათ კონას გულის წასვლა, იქნება ფეხქვეშაც ხმა ამოუღებლივ ამოსვლოდა სული.“ კონა საშინელი ავათმყოფი შეიქნა და ძლივს გადარჩა. გადარჩა... მაგრამ მის მოთმენიან გულში ამიერიდან შურის ძიების გრძნობა ძალიან გაძლიერდა. მან გადასწყვიტა მისი და ლევანის მტანჯველისათვის სამაგიერო გადაეხადა და ბარბარეს გულში დანა ჩასცა. ბარბარეს ამით მან ვერაფერი დააკლო, მაგრამ კონამ, ისედაც დაავათმყოფებულმა ველარ აიტანა ასეთი დიდი სულიერი ბრძოლა და... თქვენი ჭირი წაიღო.

ლევანი, ბოლოს, მამას შეურიგდება, „გიმნაზიაში სწავლობს და იმედი აქვს უმაღლესი სწავლაც მიიღოს“.

ბარბარე და სერაფიონი იმიტომ იყვენ წინააღმდეგი კონასა და ლევანის დაახლოვებისა, შეკავშირებისა, რომ წოდებრივი განსხვავება იყო ამ ორ ახალგაზდათა შორის გაჩხირული. და ამ გარემოებას ხომ ბარბარე და სერაფიონი ვერ შეურიგდებოდა თავის დღეში. ამიტომაც ეს ორი უდანაშაულო სხვერპლი შეეწირა სოციალურ უსწორ-მასწორობის უსამართლობას.

აქაც უნდა შევნიშნო, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი, იშვიათი მოვლინებაა სოფლელების ცხოვრებიდან აღებული და არა ყოველ დღიური ამბავი სინამდვილისა. და ეს იმიტომ, რომ ავტორმა გული აუჩვილოს ჩვეულებრივ მკითხველს და ცრემლები გადმოაყრევინოს.

ქუჩეს და თედოს (მოთხ. **ორ-ენა და ქუჩე** გვ. 145) ერთმანეთი უყვართ ძლიერი სიყვარულით, სწორედ ერმანეთისთვისაც იყო ეს ორი არსება ამ ქვეყნად გაჩენილი: „ქალი მაღალი, კოპწია, მაისის ვარდივით გადაშლილ ლოყა-ტუჩებით... ბიჭი--ლომი, მხარ-ბეჭ გადაჭიმული, ახლად ულვაშ აყვავებული... ესენი ეშხით დასტრიალებდენ ერთმანეთს“.

მაგრამ გაჩნდება გარემოება, რომელიც გზაზე გადაეღობება ამათ გაბედნიერებას: „ქუჩე იყო დედის ერთა, მზითვიანი ქალი, იმისი მამა—გოგია აზნაურებს აღირებდა თავის გოგოს. თედო კი (ორ-ენად წოდებული) ერთი სხვა მხრიდან გადმოვარდნილი ბიჭი იყო და ლუკმა პურს მოჯამაგირობით შოულობდა“.

ამიტომაც ეს გარემოება გადაეღობება იმათ გაბედნიერებას, თუმცა უმანკო სიყვარულის სიტკბოება იმათ უკვე განიცადეს და ქუჩეს თედოს სიყვარულის ნაყოფიც გამოჩნდა. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, მთელი სოფელი დიდათ ააყაყანა და გამწარებულმა მშობლებმა სიცოცხლით სავსე ქუჩე ცოლად მიათხოვეს „ორმოცდაათი წლის კაცს“. ამ ქმარმაც ჯვარის წერის შემდეგ ყველაფერი გაიგო და გაბრაზებულმა უბედური ქუჩე ისევ მშობლებს მიუგდო სახლში, რომელთაც იგი ნამდვილად აწამეს. „ორთავენი ერთად მხეცებივით დაეტაკენ ქუჩეს. გაცოფებულნი ამაყობის დამცირებით, ესენი შეუბრალებლივ სტანჯვიდენ ქუჩეს. პირი, ხელი, ნაწნავემი, ერთი სიტყვით, რაც კი ხელქვეშ მოხვდებოდათ, შეუბრალებლივ იბდღვნებოდა... გაჩუმებული და გულწასული ეგდო ქუჩე მიწაზე და უსიტყვოდ იტანდა გამხეცებულ ღვიძლი მშობლებისგან ტანჯვას... ხოლო, როცა გული რიგიანად მოიოხეს, დაავლეს ხელი ორთავემ და გულწასული გოგო ბოსელში შეათრიეს და გამოიხურეს კარები“.

ქუჩეს მშობლებთან ერთად, მთელი სოფელიც გადაემტერა და „არც ერთი მოხარჩლე, არც ერთი ნუგეშის მცემელი არავინ ყავდა“. ამ მდგომარეობაში მყოფს ქუჩეს შვილიც ეყოლება. დედა „გიჟივით დაიფრინდა პატარას, საჩქაროდ მიიკრა გულზედ, ალერსით დაეკონა და ისევ საჩქაროდ დაახეთქა ზღუდეზედ“. ამ უბედურებას მოყვა ქუჩეს გასამარ-

თლება და საუკუნოდ დაღუპვაც. ყველა მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა იმისი დანაშაული და „იმაზედ კი, თუ რამ მიიყვანა აქამდის, რასაკვირველია, ხმა არავის ამოუღიაო“. ახლა ყური დავუგდოთ, თუ რა სიტყვებით ასწერს ჩვენი ნიჭიერი ავტორი ქუჩეს გასამართლების სურათს:

„სასამართლოს დარბაზი სრულიად ცალიერი იყო. სულ ათი კაცი არ დასწრებია ამ საქმის გარჩევას. აბა, რა ღირს-საცნობი იყო საწყალი გლეხის გოგოს ამბავი? ქუჩე რომ დიდი ოჯახის ასული ყოფილიყო, მაშინ სასამართლო ბევრს შემამსუბუქებელ საშვალებას მიიღებდა მხედველობაში! ეხლა კი გოგიამ ვიღაცა საეკვო პატიოსნების „ადუკანტი“ მოიწვია, რომელიც სასამართლოს წინ თრთოდა, გამართლების მაგივრად თავის მომწვეველებისთვის შებრალებას თხოულობდა, შებრალებას! შებრალებას იქიდგან, სადაც კაცის გული გაქვავებულია და სადაც სხვისი ჭირი მხოლოდ გამართობელი საგანია! ქუჩე ტუსაღის ტანისამოსით, თვალებზე შალ-ჩამოფაფხული უგრძნობლათ იჯდა. იმან ამ დღეს მარტო ორჯერ აიხედა მაღლა: ერთი მაშინ, როდესაც გაღაწყვეტილებაზე გოგიამ და ნინომ ტირილი მორთეს,—და საშინელი იყო ეს გადახედვა! ამ გადახედვაში და მწარე ღიმილში გამოცხადდა სრული სიძულვილი და ზიზღი იმის ამ დღემდის მიმყვანთა ცრემლების უალაგობაზე; და მეორე მაშინ, როდესაც ის ორ შტიკიან სალდათს ჩამოყავდა სასამართლოს კიბეზე; იქ კუნჭულში იდგა გაყვითლებული, დაგლეჯილი ტანისამოსით, ცალ-ხელა ყმაწვილი ბიჭი და ხელგაშვერილი მოწყალებას თხოულობდა. ქუჩეს გააჟრჟოლა. ის ერთი წამით შესდგა, უნუვეშოთ თავი გაიქნია და ეხლა კი ცრემლები გელარ შეიმაგრა. იქნება წარმოიდგინა ის წამები, როდესაც ესენი ზეცამდის ბედნიერნი იყვნენ მარტო სიყვარულით და ეხლა კი იმავე სიყვარულისა და ადამიანის სიბრიყვის წყალობით უფსკრულამდის უბედურნი. ერთი წლის წინად სავსენი სიცოცხლით, სილამაზით და სიჭაბუკით ერთმანეთს შესტრფიალებდენ და კაცის თვალს ატკბობდენ, ეხლა კი დამახინჯებულნი იმავე ხალხის მოწყალებით განიწირებოდენ საზოგადოებიდგან.

ქუჩე წაიყვანეს. თედომ სწრაფად გაიწია იმის შესაყენებლად, მაგრამ ხელზედ დაიხედა, მწარედ გაიღიმა და უნუგეშოთ, თითქოს საყვედურით, ზეცას შეხედა“.

ამგვარად, როგორც ხედავთ, ეკატერინე გაბაშვილი, საფრანგეთის სახელოვანი ბელეტისტი ქალის ჟორჟ-ზანდივით, თავისუფალი სიყვარულის დიდი მოსარჩლეა და პირადი უფლების, ინდივიდუალიზმის აღმსარებელი...

ხომლელი.

საქართველოს ეგზარხოსის მოგზაურობა.

საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი 21 მაისს გამოემგზავრა ტფილისიდან დუშეთის მაზრაში სამხედრო გზაზე მდებარე ეკლესიებისა და შკოლების დასათვალიერებლად. თან ახლდენ: ტფილისის ვიცე გუბერნატორი, გუბერნიის ექიმი ბ. ქიქოძე. გუბერნიის სამართველოში მოსამსახურე მოხელეთაგანი, დუშეთის მაზრის უფროსი, სიონის ტაძარის დეკანოზი ა. თოთებაძე და მთავარ-დიაკონი სამადალაშვილი. ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, რომ ორმა ავტომობილმა გრიალი მოიტანა სად. ფასანაურში. ფასანაურის ეკლესია მორთული იყო ყვავილებით, გალავანის შესავალ კარებში გაკეთებული ჰქონდათ გვირგვინი წარწერით: „ისპოლაეტი დესპოტა“. ადგილობრივი შკოლის მოსწავლე ბავშვები გზა და გზა უფენდნენ ყვავილებს. მიეგება მრავალი ხალხი, როგორც წარმომადგენელნი, აგრეთვე სოფლელი ხალხი, მათ შორის ოთხი მღვდელი, ფასანაურის ეკლესიის დროებით გამგე მღ. ალექსანდრე კავკასიძის მეთაურობით, რომელმაც შესვლისთანავე ეკლესიაში სიტყვა უთხრა ეგზარხოსს, რომელშიაც მადლობას უძღვნიდა ნახვისათვის და სთხოვდა მამობრიულ დახმარებას, ბნელში მყოფ ხალხში სწავლის შეტანას. გალობდა შკოლის გუნდი მასწავლებელ დარია ლუკიანოვის ლოტბარობით. ეგზარხოსმა მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხადა. უსურვა მხნეობა და მტკი-

ცედ ყოფნა სარწმუნოებაზე. ბავშვებს და წერა-კითხვის მცოდნე ხალხს წიგნებს ურიგებდნენ. ნაშუადღევის მესამე საათზე ეგზარხოსი გაემგზავრა ყაზიბეგისკენ. გზა და გზა ინახულა ეკლესიები: ჩირიკისა, ნაღორევისა, მლეთისა, კობისა, სიონისა და ბოლოს მივიდნენ ყაზიბეგშიაც. მლეთის ეკლესიაში დიდ ხანს ესაუბრა ხალხს, მეტად ასიამოვნა ხალხის სიმრავლემ, ეკლესიის ძველი ნაშთების ნახვამ, მგალობელთა გუნდის მშვენივრად გალობამ ქართულ-რუსულად ადგილოარივი მღვდლის ალექსანდრე კავკასიძის ლოტბარობით, რისთვისაც რამდენჯერმე მადლობა მიიღო მ. კავკასიძემ. მოეწონა აგრედვე სასწავლებლის და კრებულისთვის ახალი შენობა.

ხალხმა პურ-მარილი მიართვა და სთხოვეს დახმარება გაუწიოს ერთ კლასიან სკოლის ორკლასიანად გადაკეთებისა და ორი მასწავლებლისთვის ორი ოთახის გაკეთებისათვის ფულის გადადება. ეგზრახოსს ეს თხოვნა ძალიან ესიამოვნა და დაჰპირდა ას ოც თუმანს ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მოეწონა აგრედვე ყაზიბეგის სკოლის გაკეთებული შენობა. ესიამოვნა ხალხის დახვდრა და დაუზოგავი მხნეობა შკოლისათვის. სიტყვები წარმოსთქვეს თვით ეგზარხოსმა და გენერალმა ყაზიბეგმა, რომელმაც აუხსნა ხალხის ჭირ-ვარამი და სთხოვა მოწყალე თვალის მათზე მიპყრობა. მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მღვდელს მ. ბართლომე ღუდუშაურს სკოლისა და ეკლესიის მგდომარეობის გაუმჯობესობის მუშაობისთვის. მოეწონა აგრეთვე ძირიკის ეკლესია, მადლობა უძღვნა მღ. მოსე კავკასიძეს და ლოცვა-კურთხევა გადასცა მედავითნე გრიგოლ ბუჩუკუხს მაღალი ხმით გალობისათვის. დაჰპირდა აგრეთვე ფულათ დახმარებას ნაღორევის ეკლესიის გასადიდებლად, რომელ ეკლესიაშიც არ მოთავსდება ხუთი კაცი და წირვა-ლოცვა მასში არ შეიძლება. 22 მაისს ეგზარხოსი დილის რვა საათიდან დაბრუნდა უკან და თავისი ამალით ანანაურიდან ცხენებით გაემგზავრნენ თიანეთს.

ღოროსხეველი.

22-ს იმ თვეს თიანეთს ეწვიო, საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი. არქიელი (ეგზარხოსი) აქეთ, აგერ 45 წელიწადზე მეტია, რაც არ უნახავთ; 45 წლის წინედ ყოფილა აქეთ მაშინდელი ეგზარხოსი ევსევი.

თიანეთის მაზრის უფროსი, ორი მომრიგებელი შუამავალი, ჭავჭავაძე და ბარათაშვილი, ბოქაული ვაშაძე და ბლაღოჩინი მ. გიორგი ინაევი სტრაჟნიკებით მიეგებნენ სოფელ ჟინვალში; აქ ბლღოჩინი ინაევი, სიტყვით შეეგება ეგზარხოსს და შემდეგ ცხენებით გამოემართნენ თიანეთისკენ. წინა დღეებში წვიმები იყო და ბოდავზე გადმოსავალი ტყიანი გზები გაფუჭებული იყო. ეგზარხოსმა ცხენით იმგზავრა და საათის ხუთზე ზემო თიანეთის (ტუშურებში) ეკლესიაში მიბძანდა. აქ, სამაზრო სკოლების მეთვალყურე მ. გ. ჭინჭველაძე, სიტყვით შეხვდა. შესახვედრ პარაკლისის შემდეგ სკოლის მოწაფენი გამოსცადა და გამოემართა თიანეთისკენ. რვა საათი იყო, რომ ეგზარხოსი მობძანდა თიანეთის ეკლესიაში. აქ, საბლაღოჩინოს სამღვდელოება შემოსილი, გლეხობა და თიანეთის მოხელენი შეხვდენენ. შესახვედრი პარაკლისის გადახდის შემდეგ, საზოგადოებას სიტყვით მიმართა. სიტყვის შემდეგ ყველანი დალოცა, ხელზე იეთხვია და მიბრძნდა მისთვის მომზადებულ ბინაზე, თ. ვახტანგ ბარათაშვილის სახლში. 23-ს დილით ეგზარხოსმა, თიანეთის სკოლა დაათვალიერა, მოწაფეები გამოსცადა და მიიღო სხვა სხვა პირებისაგან თხოვნები; შემდეგ, თავის გამცილებლებით, ცხენზე მჯდომმა, ფოტოგრაფიული სურათი გადიღო და გაემგზავრა ახმეტისკენ. ერწოსკენაც ელოდენ ეგზარხოსს, მაგრამ ლოდინი გაუცრუვდათ.

ქართველი ოსებში ნამყოფი.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად.

გაგრძელება*)

ძველი ეკლესიის მომხრეებმა ისარგებლეს ეპისკოპოსის მიბრძანებით კიწიაში და მოახსენეს:—ახალი ეკლესიისთვის არჩეული ალაგი განაპირია მრევლისა და იქ აშენებული ეკლესია გამოუსადეგარი იქნება ყველასთვისო. მისმა მეუფებამ თითონ ინახულა ყველა ალაგები და დარწმუნდა, რომ ახალი საეკლესიო ალაგი ნამდვილი გულია მრევლისა და ძველი ეკლესია მთლად განაპირაზე მდგარა.

ბევრი ლაპარაკის და ჩოჩქოლის შემდეგ მისმა მეუფებამ უბრძანა საზოგადოებას „მე დავამტკიცე თქვენგან შედგენილი და ხელ მოწერილი განაჩენი ეკლესიის აშენებისა ახალ ალაგზე, ეს დადგენილება უნდა ძალაში შევიყვანოთ, თუ იგი ყალბია, გაასაჩივრეთ გუბერნატორთან, ე. ი. უჩივლეთ მამასახლისს, რომელმაც ამ განაჩენის სინამრვილე შეამოწმაო. მამასახლისმა გამოუცხადა მოწინააღმდეგეებს ყაბული მაქვს, მიჩივლეთ და თუ დამნაშავე ვარ რამეში, მთავრობის სასჯელს ვიკისრებო.

საკვირველია, რომ ჩვენში ყოველი საქმე ბადებს პარტიებსა და კაცის ღირსების დამამცირებელ ხრიკიან საჩივრებს.

ნაქალაქევის და ალავედრის საბლადოჩინო ოლქები ისე შედიან სოლებივით ერთი მეორეში, რომ ხან ერთი საბლადოჩინო ეკლესიები. უნდა ჩხრიკოს მეთვალყურემ და ხან მეორესი. ამიტომ კიწიის ეკლესიების დათვალიერების შემდეგ მისი მეუფება ისევ ალავერდის ოლქში გადაბრძანდა და განახილა ოთხი ეკლესია სულ გურძემებისა.

პირველი გურძემის მთავარ-ანგელოზის ეკლესია ორშტატნი ყოფილა და, როგორც შტატის ეკლესიაში, ისე ზედ მიწერილში გაუცდენელი წირვა-ლოცვა ჰქონია მრევლს მაგრამ ადგილობრივ ბლადოჩინს: დეკ. მ. გიორგი ბერიძეს, საჭიროდ დაუნახავს სხვა და სხვა მრევლებიდან გადმოსახლებულისთვის ახალი ეკლესიის აშენება კარგა დაშორებით პირველ გურძემიდან და იქ გადატანა პირველი გურძემიდან ერთი შტატისა, ასე რომ პირველ გურძემში შტატში და ზედ მოწერილ ეკლესიებში დარჩომილა ერთი მღვდელი, ე. ი. შტატებს და საჯკარის მრევლს გაუნახევრდათ წირვა-ლოცვა. ეს გარემოება ძალიან სამძიმოთ აქვთ დარჩომილი ხსენებულ ეკლესიების შემავალთ და საჩივრები განუცხადეს მის მეუფებას მ. ბერიძეზე.

საერთოდ, გურძემის ეკლესიები, გარდა ახლად აშენებულისა, პატარები და ღარიბებია, მაგალითად მეოთხე გურძემის ეკლესიაში დღესაც კალის დაჭყლეტილი ბარძიმ ფეშხუმია ხმარებაში! მარტო გურძემის მესამე ახლად აშენებული ეკლესია ახდენს მნახველზე სასურველ შთაბეჭდილებას, როგორც შენობის მოხდენილობით, ისე სამკაულების უკლებლობით.

მარიამობის ცხრას დათვალიერდნენ შემდეგი ეკლესიები: ალავერდის, ორი ფოცხვისა და ორი მახაშისა.

ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია ძველი დროისა და თავისი მშვენიერი მოყვანილობით სიამოვნაბით ავსებს მნახველის გულს. ეკლესია შემკობილია წმინდა ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმით, ჯვრებით, სახარებით, საცეცხურებით და კარგი შესამოსლებით. ეკლესიის წინამძღვარს, დეკ. მ. გ. ბერიძეს დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის, რომ ასე სასიქადულოთ არის დაყენებული ალავერდის ეკლესია და მისი კეთილი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისგან დავალებულ მრევლში.

არაა დასაწუნი არც შენობის მხრივ და არც მოწყობილობით ფოცხოვის პირველი ქვიტკირის ეკლესია ხოლო მეორე ახლა შენდება ღრუბლის მგზავსად დახვრეტილი, ეგრეთ წოდებული, სპონტიკოს (შირიმის) ქვით. მოწყობილობით მოხაშის წმ. გიორგის მეორე ხის ეკლესია უკეთესი იმავე სოფლის ღვთისმშობლის პირველ ეკლესიაზე, სამაგიეროთ უკანასკნელი, აღემატება პირველს სიფართოით, სინათლით და ქვიტკირის შენობით.

*) იხ. შინ. საქ. № 21.

მოხაშის პირველ ეკლესიას აქვს ზედ მიწერილი, ახლად აშენებული, საკმაოდ ფართო ქვიტკირის ეკლესია. აქ მის მეუფეს მრევლმა სთხოვა ამ ეკლესიის გაშტატება, მაგრამ ყოვლადსამღვდელომ გადაჭრილი უარი უთხრა, რადგანაც მრევლიც ნამეტანი მცირე რიცხოვანია და ეკლესიებიც ერთი ვერსის მანძილთაც ვერა შორავენ ერთი მეორეს, მით მომეტებულ, რომ მათში მისვლა, რადგანაც არც მთაა გადასავლელი და არც მდინარე, არავითარ სიძნელეს და უხერხულობას არ წარმოიდგენს.

სოფლელებს ახალი რამე საქმე რომ ურჩიო; თუკი მისი განხორციელება ხარჯის გაღებას მოითხოვს მათი ჯიბიდან, ძალიან სასარგებლო და საჭირო რომ იყოს იგი მათთვის, უსათუოდ უარზე დადგებიან: ვინ მოგვცა მაგარი თავი, სიღარიბისაგან გავძვალტყავდით და შიმშილით კუჭი გვეწვისო. მაგრამ თუ მეზობლებში ჯიბრი და შურიანობა ჩამოვარდა, სიღარიბეც დავიწყებული ხდება და სწორედ საოცარ საქმესაც ჰკიდებენ ხელს.

აი აქაც ს. მოხაშში, მარტო დაჩემების და ჯიბრის გაწევის გამო აუშენებიათ ეს არა იაფათ დამჯდარი ქვითკირის მოზდილი ეკლესია, თორემ არც მრევლის რაოდენობა და არც მანძილის სიშორე არ ხდიდენ მას ხაჭიროდ. ამ გარემოებამ მომაგონა მსგავსი შემთხვევა რაჭის სოფელ ხონჭიორში.

სოფელი ხონჭიორი გაშენებულია მაღალი მთის ჰატარა ვაკობზე ორ უბნათ, ერთ უბანში მოსახლეობენ ბუაძეები მეორეში ფოფხაძეები. ეს უბნები დაახლოებით იმდენათ შორავენ ერთი მეორეს, რამდენათაც ქუთაისში არქიელის სახლი საკრებულო ტაძარს, მხოლოდ ამათში განსხვაება ეს არს, ქუთაისში არქიელის სახლი მთაზეა და ტაძარი დაბლა ვაკეზე, სოფელ ხონჭიორში კი ორივე ეკლესიები ვაკეზეა. ერთ უბანს აუშენებია დიდებული ქვის ეკლესია და მოუწყვია ყოველგვარი სამკაულებით. მეორე უბანს, რაკი ძველი ეკლესია დარჩომიათ, ჯიბრზე, უფრო დიდებული თლილი ქვის ეკლესიისთვის მიუყვია ხელი. მე თითონ ვნახე ფულების გაწერის ფურცელი და თვითეულ ოჯახს სამას მანეთ ნაკლები არ ეწერა და ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც ხუთასი და შვიდასი მანეთიც ჰქონდათ შეწერილი. ჯიბრით ასე ტყავს იძრობენ და თქვენი კეთილი რჩევით კი თუმანსაც ვერ გამოაღებინებთ სულ საჭირო საქმისათვის.

ს. მოხაშიდამ წავედით ს. ლეძეძამეში და ამითი დავამთავრეთ ალავერდის საბლაღოჩინო ოლქი.

გზაში კინაღამ უბედურობა დაგვატყდა თავსა: ერთს ჩვენს თანამგზავრს ბოგირი ჩაენგრა და ცხენს რომ მხედარი გვერდზე არ გადაესროლა, ქვეშ მოიყოლიებდა—და უსათუოდ ატკენდა რასმეს, ცხენიდამ გადმოვარდნილს ხუმრობა დაუწყეს „სი კოჩი, ქორთუ ხო არა ხარო, რომ ცხენიდამ გადმოვარდიო, ეგ ხომ ჩვენი შერცხვენა და თავის მოკვლაა ბატონ ჭყონდიდელთანაო“!...

ს. ლეძეძამის შტატის ეკლესია მეტად ღარიბულათაა მოწყობილი და აღმოსავლეთის კედელი საგრძნობელად დარღვეულა. ამ ეკლესიას კიდევ ორი ზედ მიწერილი ეკლესია აქვს, მაგრამ მათი ეკლესიად წოდება კი სწორეთ გმობაა, რადგანაც არც გარეგნობით წააგვანან იგინი ეკლესიას და არც შინაგანი მორთულობით.

ყოვლადსამღვდელომ ორივე ზედ მიწერილ ეკლესიებში აუკრძალა ადგილობრივ მღვდელს წირვა-ლოცვის შესრულება და მათ ნაცვლად ხალხს დაავალა შუაგულ ალაგზე აშენება საერთო ეკლესიისა.

მცირედი შესვენების შემდეგ მამა ხუხუნისას გამოვეთხოვეთ დეკ. ბერიძეს და ნაქალაქევის ოლქის ბლაღოჩინის მამა ჩაჩიბაიას თან ხლებით გავემგზავრენით ს. კვაუთს. კვაუთის ეკლესია ძველი-ძველთაგანია, იგი ერთ მაღალ მთის კალთაზეა აღშენებული; ხალხი დაბლა ჩასახლებულა და კარგა დაშორებია ეკლესიას; ეჭვს გარეშეა, რომ ხსენებულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა იშვიათად სრულდება და არც ამ იშვიათ შემთხვევაში ესწრება ხალხი. ამითი უნდა ავხსნათ უკიდურესი სიღარიბე და მოუწყობლობა ეკლესიისა.

კვაუთის ეკლესიაში რომ მივდიოდით, შევნიშნეთ, რომ ერთ ეზოში ხის ქვეშ ისხდნენ რამდენიმე ქალი და კაცი და ჩვენთვის თითქმის ყურადღებაც არ მოუქცევიათ. ერთი ჩვენი თანამგზავრი ცოტა უკან ჩამოგვრჩა და ეზოში მყოფთ უთხრა: „დაინახეთ, მღვდელმთავარი მიბრძანდება ეკლესიაში, თქვენც წამობრძანდით, ქადაგება მოისმინეთ და ლოცვა-კურთხევა მიიღეთო“. აქ წამოიჭრა ქუთაისის ერთ-ერთი სასწავლებლის მოწაფე და უპასუხა მგზავრს: „ამხანაგო, განა ჯერ არ შეგიტყვია, რომ რწმენის თავისუფლებაა გამოცხადებული? ამ კაცებს არა სურთ ეკლესიაში წამოსვლა და არ მოდიანო“... თითონ ეს ახალგაზრდა ამობრძანდა ეკლესიის გალავანში, მაგრამ ეკლესიაში მაინც არ შემოუხედნია. საკვირველია ღმერთმანი, ამგვარი პირების ფსიხიკა: თუ სარწმუნოებრივი გრძნობა დაუკარგავთ და ლოცვა აღარ შეადგენს მათი გულის მოთხოვნილებას, ცნობის მოყვარეობა მაინც უნდა ჰქონდეთ, იმისი გაგება მაინც უნდა ეხალისებოდეთ, რას ჰქადაგებს ახლად მოსული პირი, რისთვის მოგზაურობს იგი და სხვა. ვერაფერი სამსახურია დაბალი ხალხისადმი შესმენილი ახალგაზდობის მხრივ ასეთი საქციელი!

ჯილომეისალონის ეკლესიის დათვალიერების შემდეგ, რომელსაც აკლია გარეშემო აივანი, იატაკი და კედლების შეღებვა, მისი მეუფება ღამის გასათევად დარჩა ადგილობრივ მღვდელ ერმოლაოზ ანჯაფარიძის ოჯახში.

მარიამობისთვის 11 ნახულმა ეკლესიებმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს ყოვლადსამღვდელოზე.

ნაროუს შტატის და ზედ მიწერილი ეკლესიები მთლად გაცვეთილი, მიწასთან გასწორებული და დანგრეულები არიან, ესენი ორივენი უნდა მთლად მოისპონ, რადგანაც სიმცირისა და სიღარიბის გამო მრევლს არასოდეს არ ექნება შეძლება მათი მოვლა-პატრონობისა.

აბედათის ეკლესია, როგორც ძველი დროის ნაშთი, საყურადღებოა, განსაკუთრებით თავისი ციხე-გალავნით და ძვირფასი წყაროთი, რომელიც სიდიდით გელათის წყაროს არ ჩამორჩება, მაგრამ რის მაქნისია მისი გვარიანობა, როდესაც ხალხი დაშორებია მას თითქმის ათი ვერსის მანძილზე და ამიტომ უსარგებლოა მისთვის ჭირშიაც და ლხინშიაც. მარტო დღეობას, თხუთმეტ მარიამობას, თუ შეიკრიბება აქ ხალხი, თორემ უიმისოთ აქ კაცი არ გაიჭაჭანებს. კარგი იქნება ისტორიული ნაშთის შესანახათ აქ მონასტერი რომ გაიმართებოდეს, მაგრამ ვინ მოგვცა ჩვენ ამის შეგნება და უნარი! დღეს ქართველი კაცი, რაც უნდა სათაკილო და დამამცირებელი ხელობა იყოს, თუ გაუჭირდა, ხელს მოჰკიდებს, მაგრამ მონასტერში კი არაფრის გულისთვის არ შევა, თუმცა მონასტერში შესვლა მას არსებობის ლუკმასაც მისცემს და მის არსებობასაც სასარგებლოდ გახდის.

N.

შემდეგი იქნება.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

განცხადება

„ძმობის“ სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ წიგნები

„სინამდვილე სახარებისა“
და უბის
„ვეფხვის ტყაოსანი“

ფასი თითოეული წიგნისა **ექვსი შაური**. დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება.

ქ. ქუთაისში, სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის შესახვევში სახლი № 17.